



# საზოგადოებრივი ჯანდაცვა

---

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

სსიპ –განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2019 წელი

**I. ზოგადი ინფორმაცია**

<b>დარგობრივი მახასიათებელი</b>	დასახელება:	<b>საზოგადოებრივი ჯანდაცვა</b> <b>Public Health</b>		
	სარეგისტრაციო ნომერი:			
	დამტკიცების თარიღი:			
	მოქმედების ვადა:	7 წელი ან საჭიროებისამებრ		
	დარგი/პროფესია:	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	✓ არ არის რეგულირებადი	
	პროფესიის დასახელება:	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი, Bachelor in Public Health	ISCO-08-ის კოდი:	3253
	სწავლის სფერო:	საზოგადოებრივი ჯანდაცვა, Public Health	ISCED-F-ის კოდი:	1021
	<b>უმაღლესი განათლების საფეხურები:</b>	ბაკალავრიატი	<b>შესაძლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია:</b>	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი Bachelor degree in public health,
უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხური				

**დარგობრივი მახასიათებლის მიზანი**  
 დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო პროგრამის (კურიკულუმის) შემუშავებას, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას.

**დარგობრივი მახასიათებლები უზრუნველყოფს** პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, მობილობას და ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რომელთა საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელებას, საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზებას და კარიერულ წინსვლას.

**დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები**  
 1. საერთაშორისო საგანმანათლებლო და მარეგულირებელი დოკუმენტები

- European Core Competencies for Public Health Professionals, ASPHER, 2011;

- European Core Competencies for Public MPH Education (ECCMPHE), ASPHER, 2011;
- Guidelines of Competence Development in the Study Field of Public Health, 2012;
- FROM POTENTIAL TO ACTION: Public Health Core Competences for Essential Public Health Operations. Manual, ASPHER, 2016.

## 2. ქვეყნის კანონმდებლობა და მარეგულირებელი დოკუმენტები ჯანდაცვაში

- საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ. 2007;
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004;
- საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, 2010;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო.

## დარგის აღწერა

საზოგადოებრივი ჯანდაცვა არის მეცნიერება და ხელოვნება, რომელიც შეისწავლის საზოგადოების ჯანმრთელობის ფენომენს. დარგი ემსახურება საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას (Health Protection), ჯანმრთელობის ხელშეწყობას (Health Promotion) და მიმართულია დაავადებათა პრევენციისკენ. ორგანიზებული საზოგადოებრივი აქტივობებით (Acheson, 1988; WHO) ის ხელს უწყობს ცხოვრების სტანდარტების ამაღლებასა და მისი ხარისხის გაზრდას, სიცოცხლის გახანგრძლივებას და მოსახლეობის კეთილდღეობას. საზოგადოებრივი ჯანდაცვა იცავს ადამიანებისა და საზოგადოების ჯანმრთელობას იმ გარემოში, სადაც ისინი ცხოვრობენ, სწავლობენ, საქმიანობენ, ატარებენ თავისუფალ დროს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა, როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და გაუმჯობესების, დაავადებათა პრევენციისა და კონტროლისაკენ, ჯანმრთელობის ადვოკატობისაკენ მიმართული ღონისძიებათა ერთობლიობა, მოიცავს გადამდები და არაგადამდები დაავადებების პრევენციას, ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობას, მოსახლეობის დაცვას ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ფსიქო-ფიზიოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებისაგან; გარემოს ჯანმრთელობას, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხებს და ყველა იმ ფაქტორის შესწავლასა და მონიტორინგს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება საზოგადოების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ქვეყნის პროგრესს.

## დასაქმების შესაძლო სფერო/სფეროები და სპეციალური მოთხოვნები

### 1. დასაქმების შესაძლებლო სფერო/სფეროები:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურები;
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რეგიონული და მუნიციპალური სტრუქტურები;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურები;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურები;

- სამედიცინო დაწესებულებების მართვის სტრუქტურები; ხარისხის მართვის (მათ შორის, ეპიდემიოლოგიის, სტატისტიკის) სტრუქტურები;
- ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის შესაბამისი სტრუქტურები;
- სადაზღვევო კომპანიები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები.

**2. სპეციალური მოთხოვნები:** არ არსებობს

**1. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და შესაძლო სტრუქტურა**

ხანგრძლივობა მოცულობა, ECTS:	4 წელი 240 ECTS კრედიტი	შესაძლო სტრუქტურა:	<input checked="" type="checkbox"/>	ძირითადი სპეციალობა და პროფესიული სპეციალიზაცია	180 ECTS კრედიტი	მათ შორის	<ul style="list-style-type: none"> <li>• სავალდებულო სასწავლო კურსები;</li> <li>• არჩევითი სასწავლო კურსები (მინიმუმ 20 ECTS კრედიტი);</li> <li>• პრაქტიკა (მინიმუმ 10 ECTS კრედიტი);</li> <li>• მოდულები/ და სხვა</li> </ul>
				ზოგადი ან/და თავისუფალი კომპონენტები, კვლევა	60 ECTS კრედიტი	მათ შორის	სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები

**საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები**

დაშვების განსაკუთრებული პირობები არ არსებობს

**2. დარგობრივი კომპეტენციები (დარგობრივი ცოდნა და უნარები)**

დარგის ასპექტი, №	კომპეტენცია		კომპეტენციის	
	ცოდნა-გააზრება	პრაქტიკული/სხვ. უნარები	მიღწევის სპეციფიკური მეთოდები	დემონსტრირების სპეციფიკური კრიტერიუმები
<b>1. კომპეტენციის სფერო - მოსახლეობის ჯანმრთელობა და სოციალური, ეკონომიკური დეტერმინანტები</b>				
	<p><b>სტუდენტმა იცის და გააზრებული აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინდივიდის ჯანმრთელობისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ძირითადი განსაზღვრებები;</li> <li>• საზოგადოებრივი ჯანდაცვის თეორიის და პრაქტიკის ისტორიის მნიშვნელოვანი ასპექტები;</li> <li>• ფსიქიკური და სომატური დაავადებების კონცეფციები და მათი პრაქტიკული მნიშვნელობა;</li> </ul>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეკრიბოს ინფორმაცია მოსახლეობის ჯანმრთელობის შესახებ;</li> <li>• დააკვირდეს კორელაციებსა და ასოციაციებს, ასევე სხვადასხვა ფაქტორებს საზოგადოების ან თემის შიგნით, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯანმრთელობაზე;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები (პრობლემური და სიტუაციური ამოცანები, დისკუსია და სხვა).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსახლეობის ჯანმრთელობის ინდიკატორების და ჯანმრთელობაზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური დეტერმინანტების მონაცემთა ანალიზი და შედეგების სწორი ინტერპრეტაცია;</li> <li>• მიზნობრივი ლიტერატურის ძიების სწორად წარმართვა და ძიების შედეგების ანალიზზე დაფუძნებით სწორი დასკვნების გაკეთება.</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსახლეობის ჯანმრთელობის მთავარი ინდიკატორების დონეები და ტენდენციები, მათ შორის:       <ul style="list-style-type: none"> <li>- ავადობის ინდიკატორები (კარდიო-ვასკულარული დაავადებები, კიბო, ტრავმატიზმი, ფსიქიკური ჯანმრთელობა და სხვა);</li> <li>- უნარშეზღუდულობის ინდიკატორები;</li> <li>- სიკვდილიანობის ინდიკატორები;</li> </ul> </li> <li>• ჯანმრთელობის ინდიკატორების მონიტორინგი, მათ შორის:       <ul style="list-style-type: none"> <li>- სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა და მოსახლეობის გადარჩენის მრუდები;</li> <li>- <i>სიცოცხლის განმავლობაში არაქმედითუნარიანობის წლები (DALY)</i> უნარშეზღუდულობით გატარებული სიცოცხლის წლები (ავადმყოფობაში გატარებული სიცოცხლის წლები წლები)(DALYs);</li> <li>- ხარისხიანი <i>სიცოცხლის წლები (QALY - quality-adjusted life-years)</i>;</li> <li>- მოსახლეობასა და მის ქვე-ჯგუფებში არაჯანსაღი ქცევითი ინდიკატორების დონეები და ტენდენციები (დაბალი ფიზიკური აქტივობა, არაჯანსაღი კვება, ალკოჰოლი, ნარკოტიკი, თამბაქო და ა.შ.);</li> </ul> </li> <li>• ჯანმრთელობაზე მოქმედი სოციალური და ეკონომიკური დეტერმინანტები, კერძოდ: საბაზისო კონცეფციები და შესაბამისი ინდიკატორების დონეები და ტენდენციები (გენდერი, ოჯახის სტრუქტურა, საცხოვრებელი პირობები, განათლება, დასაქმება, საქმიანობა, სამუშაო პირობები, ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური გარემო, სოციალური პროცესები და სხვა);</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოიძიოს და გაანალიზოს ინფორმაცია მოსახლეობის ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური დეტერმინანტების შესახებ;</li> <li>• შეისწავლოს და გაანალიზოს ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სისტემებიდან და ბაზებიდან მიღებული ინფორმაცია;</li> <li>• მოსახლეობისა და მოსახლეობის ჯგუფების სოციო-ეკონომიკური გარემოს და ჯანმრთელობის უთიერთკავშირის შესახებ, ანალიზის დოკუმენტაციის მომზადება (ანალიზი, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.);</li> <li>• სოციალური ცვლილებების ძირითადი ტენდენციების იდენტიფიცირება, მონაცემთა მოპოვება და გაანალიზება;</li> <li>• ჯანმრთელობის მაღალი რისკის მქონე მოსახლეობის ჯგუფების იდენტიფიცირება და</li> </ul>		
--	---	--	--

<ul style="list-style-type: none"> <li>• ჯანმრთელობის სოციალურ დეტერმინანტებთან დაკავშირებული მდგომარეობები, განსაკუთრებით: <ul style="list-style-type: none"> <li>- მატერიალური მდგომარეობა, მაგ. სიღარიბე, შემოსავლების უთანასწორობა, სიღატაკესთან მოსაზღვრე მდგომარეობა;</li> <li>- ფსიქო-სოციალური მდგომარეობა (სოციალური სტრესი და დაცვითი ფაქტორები დაკავშირებული სამუშაოსთან, ოჯახურ ცხოვრებასთან და სხვა გარემოებები, მაგ. სოციალური სამუშაო, სოციალური მიჯაჭვულობა, სოციალური სტანდარტების ნაკლებობა, სოციალური მხარდაჭერა )</li> <li>- ქცევითი მდგომარეობები, მაგ. ცხოვრების წესი, ქცევის შეცვლის სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური მოდელები</li> <li>- ცხოვრებისეული გამოცდილება (აკუმულაცია, ფუნდამენტური მიზეზები, დამოკიდებულების გზები);</li> </ul> </li> <li>• გლობალიზაციის გავლენა ჯანმრთელობის სოციალურ და ეკონომიკურ დეტერმინანტებზე.</li> </ul>	<p>ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მათი საჭიროებების შეფასება. მაგ. ბავშვები, მოხუცები, მოზრდილები დასაქმებულნი და სამუშაო ბაზრის მიღმა დარჩენილნი, იმიგრანტები და ა.შ.</p>		
---	---	--	--

**2. კომპეტენციის სფერო - ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებათა პრევენცია**

<p><b>სტუდენტმა იცის და გააზრებული აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჯანმრთელობის ხელშეწყობის თეორიის და პრაქტიკის ისტორიის მნიშვნელოვანი ასპექტები;</li> <li>• ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ჯანმრთელობის დაცვის (health protection) განსაზღვრებები; დაავადებათა პრევენციის განსაზღვრება და მისი ტიპები;</li> <li>• ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგია, არსი და მნიშვნელობა; ძირითადი პრინციპები;</li> </ul>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჯანმრთელობის ხელშეწყობის მოდელების შეფასება; ჯანმრთელობის დეტერმინანტების შეფასება; ქცევითი და ორგანიზაციული თეორიის გამოყენება და ქცევითი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები (პრობლემური და სიტუაციური ამოცანები, დისკუსია და სხვა)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსახლეობის ჯანმრთელობის ინდიკატორების და ჯანმრთელობაზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური დეტერმინანტების მონაცემთა ანალიზი და შედეგების სწორი ინტერპრეტაცია;</li> <li>• მიზნობრივი ლიტერატურის ძიების სწორად წარმართვა და ძიების</li> </ul>
---	--	--	--

<ul style="list-style-type: none"> <li>• ჯანმრთელობის ხელშეწყობის კონცეფციის რაობა; კონცეფციის შემუშავებისა და მონიტორინგის პრინციპები;</li> <li>• საზოგადოების განვითარების ტენდენციები და ჯანმრთელობის ხელშეწყობითი აქტივობა. ქცევითი რისკები და ცხოვრების წესი (თამბაქო, ალკოჰოლი, ნივთიერებადამოკიდებულება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, არაჯანსაღი კვება და სხვა). დაავადებათა პრევენციის მიდგომები და დაავადებათა ძირითადი გამომწვევი მიზეზები (კარდიო-ვასკულარული დაავადებები, კიბო, ტრავმატიზმი, ფსიქიკური ჯანმრთელობა და სხვა ქრონიკული არაგადამდები დაავადებები);</li> <li>• ჯანმრთელობის ადვოკატობა პრინციპების არსი და მნიშვნელობა;</li> <li>• მედიაციისა და კომუნიკაციის არსი და მნიშვნელობა ჯანმრთელობის ხელშეწყობაში;</li> <li>• ლიდერობის არსი და მნიშვნელობა ჯანმრთელობის ხელშეწყობაში;</li> <li>• ჯანმრთელობის ხელშეწყობისათვის საჭირო რესურსების სახეები და მნიშვნელობა;</li> <li>• დაგეგმვის პრინციპები ჯანმრთელობის ხელშეწყობაში;</li> <li>• ინოვაცია და დანერგვა, დანერგვის პრობლემების რაობა და შეფასება;</li> <li>• კვლევებისა და შეფასებების განვითარება ჯანმრთელობის ხელშეწყობაში;</li> <li>• ჯანმრთელობითი განათლების ძირითადი პრინციპები;</li> <li>• საგანმანათლებლო ინფორმაციის, არსი, მნიშვნელობა და გამოყენების თავისებურებები.</li> </ul>	<p>ცვლილებებისათვის ჩარევების შეფასება; კომუნიკაციის ეფექტური მეთოდების შერჩევა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საზოგადოებრივ-ჯანდაცვითი საჭიროებების შეფასება;</li> <li>• გეგმის მახასიათებლების შეფასება;</li> <li>• გადაწყვეტილების მიღების ფორმებისა და მეთოდების გამოყენება;</li> <li>• რესურსების დაგეგმვა და უტილიზაცია;</li> <li>• დანერგვის პრობლემები და საზოგადოების მზადყოფნის შეფასება;</li> <li>• აქტიური და პასიური პროფილაქტიკის მეთოდების შეფასება.</li> </ul>		<p>შედეგების ანალიზზე დაფუძნებით სწორი დასკვნების გაკეთება.</p>
--	---	--	---



**3. კომპეტეციის სფერო - ეპიდემიოლოგია**

<p><b>სტუდენტმა იცის და გააზრებული აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ეპიდემიოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია, ეპიდემიოლოგიის ძირითადი განსაზღვრებები;</li> <li>• ძირითადი ეპიდემიოლოგიური ასპექტები, როგორცაა: პოპულაცია, პოპულაციური პირამიდა, რისკის ქვეშ მყოფი პოპულაცია, შემთხვევა, შობადობა, სიკვდილობა, ავადობა, მიგრაცია, მაჩვენებელი, ინციდენტობა და პრევალენტობა, ავადობის და სიკვდილობის მაჩვენებლები, გადარჩენა და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, დემოგრაფიული ტრანზიციები (გადასვლები);</li> <li>• რისკის შეფასება (პროპორცია, მაჩვენებელი, ფარდობა);</li> <li>• კვლევის ძირითადი მეთოდები (ობსერვაციული და ინტერვენციული კვლევები, კერძოდ: ეკოლოგიური, ჯვარედინ-სექციური (ერთ-მომენტიანი), კოჰორტული, შემთხვევა-კონტროლით, რანდომული კონტროლირებადი კვლევა);</li> <li>• კვლევის ვალიდობა, სანდოობა, შეცდომა კვლევაში (ცდომილება და დამაბნეველი (კონფაუნდინგი) ფაქტორი);</li> <li>• მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტების სტანდარტიზაციის პრინციპები;</li> <li>• ეპიდ-ზედამხედველობის პრინციპები, სისტემები;</li> <li>• ჯანდაცვის სისტემის შეფასების ინდიკატორები;</li> <li>• არაგადამდები დაავადებების ეპიდემიოლოგია და პრევენცია; გულ-სისხლძარღვთა, ქრონიკული</li> </ul>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ძირითადი ეპიდემიოლოგიური პარამეტრების დადგენა;</li> <li>• ეპიდემიოლოგიური კვლევის სწორი მეთოდის შერჩევა კონკრეტული კვლევისათვის;</li> <li>• კვლევის პროტოკოლის შემუშავება;</li> <li>• ჯანდაცვის მომსახურებების მონიტორინგის სისტემისათვის ინდიკატორების შემუშავება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები (პრობლემური და სიტუაციური ამოცანები, დისკუსია, კვლევის პროტოკოლის შემუშავების პრინციპების განხილვა სხვა).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა წყაროების იდენტიფიცირება;</li> <li>• მონაცემთა ეპიდ. ანალიზის საფუძველზე ანგარიშის მომზადება; კვლევის პროტოკოლის შემუშავება.</li> </ul>
--	---	---	--

<p>რესპირატორული, და ონკოლოგიური დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგია და პრევენცია;</li> <li>• იმუნოპროფილაქტიკა;</li> <li>• ნოზოკომიური ინფექციების ეპიდემიოლოგია;</li> <li>• კლინიკური ეპიდემიოლოგია.</li> </ul>			
---	--	--	--

**4. კომპეტენციის სფერო - სამედიცინო სტატისტიკა (ბიოსტატისტიკა)**

<p><b>სტუდენტმა იცის და გააზრებული აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შერჩევის მეთოდოლოგია (რანდომული, სისტემური, კლასტერული, სტრატეფიცირებული);</li> <li>• მონაცემთა ნორმალური განაწილება;</li> <li>• ცენტრალური მდებარეობის და დისპერსიის პარამეტრები;</li> <li>• კვლევის სტატისტიკური ძალა;</li> <li>• სარწმუნობის ინტერვალი;</li> <li>• ჰიპოთეზის სტატისტიკური ტესტირება,</li> <li>• მნიშვნელობის სტატისტიკური ტესტი (P - მნიშვნელობა);</li> <li>• შედეგების სტატისტიკური შეფასება: ასოცირება, კონფაუნდინგი, ურთიერთზემოქმედება, კორელაცია;</li> <li>• მაჩვენებელთა პირდაპირი და არაპირდაპირი სტანდარტიზაცია;</li> <li>• გადარჩენის ანალიზი.</li> </ul>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ძირითადი სტატისტიკური პარამეტრების დადგენა (შერჩევის ზომა, კვლევის სტატისტიკური ძალა, ექსპოზიციურ ფაქტორსა და გამოსავალს შორის ასოცირების სიძლიერის შეფასება);</li> <li>• მიღებული შედეგების სწორი ინტერპრეტაცია სარწმუნობის ინტერვალის, P მნიშვნელობის, ურთიერთზემოქმედებისა და კონფაუნდინგის გათვალისწინებით;</li> <li>• სწორი სტატისტიკური ტესტის შერჩევა მონაცემების სპეციფიკისა და შერჩევის ზომის გათვალისწინებით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები მონაცემთა ანალიზსა და შედეგების ინტერპრეტაციაში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა აღწერილობითი ანალიზის ჩატარება, შედეგების სწორი ინტერპრეტაცია და შესაბამისი ანგარიშის მომზადება; ჩატარებული/გამოქვეყნებული კვლევების გააზრება.</li> </ul>
---	---	--	--

**5. კომპეტენციის სფერო - გარემოს მედიცინა**

<p>5.1 <b>სტუდენტმა იცის და გააზრებული აქვს:</b> <i>ადამიანის ჯანმრთელობის განმაპირობებელი გარემოს ბუნებრივი ფაქტორები</i></p>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოს ბუნებრივი ფაქტორების მოსახლეობის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები (პრობლემური და</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოს ბუნებრივი ფაქტორების (სასმელი წყლის, წყლის ობიექტების, ნიადაგის,</li> </ul>
--	--	--	--

	<ul style="list-style-type: none"> <li>გარემოს ბუნებრივი ფაქტორები და მათი როლი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების წესის ფორმირებაში;</li> <li>გარემოს ბუნებრივი ფაქტორების დენატურაციისა და დაბინძურების განმაპირობებელი მიზეზების ჰიგიენური დახასიათება;</li> <li>გარემოს ობიექტების დაბინძურებისაგან დაცვის სისტემები.</li> </ul>	<p>ჯანმრთელობაზე და ცხოვრების პირობებზე გავლენის შესწავლა და ჰიგიენური შეფასება და კონტროლი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასება კლიმატის გლობალური ცვლილების პირობებში;</li> <li>ადეკვატური პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება.</li> </ul>	<p>მოდელირებული სიტუაციური ამოცანები, დისკუსია);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ლაბორატორიული მეცადინეობები და მიზნობრივი სასწავლო ექსკურსიები პროფილურ დაწესებულებებში.</li> </ul>	<p>ატმოსფერული ჰაერის) ხარისხის ჰიგიენური შეფასება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>მოდელირებული სიტუაციური ანალიზის სწორად ჩატარება;</li> <li>ბუნებრივი გარემოს კონკრეტული შეცვლილი ფაქტორის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გავლენის რისკის პროგნოზირება და პრიორიტეტული პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა.</li> </ul>
5.2	<p><b>სტუდენტმა იცის და გააზრებული აქვს:</b> <i>ადამიანის ჯანმრთელობის განმაპირობებელი გარემოს ხელოვნური ფაქტორები</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>გარემოს ხელოვნური ფაქტორები და მათი როლი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების წესის ფორმირებაში;</li> <li>გარემოს ხელოვნური ფაქტორების კორექციის პრინციპები.</li> </ul>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>გარემოს ხელოვნური ფაქტორების მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და ცხოვრების პირობებზე გავლენის შესწავლა და ჰიგიენური შეფასება;</li> <li>მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასება გარემოს ხელოვნური ფაქტორების ცვლილების პირობებში; ადეკვატური პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თეორიული სწავლება;</li> <li>პრაქტიკული დავალებები (პრობლემური და მოდელირებული სიტუაციური ამოცანები, დისკუსია).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მოდელირებული სიტუაციური ანალიზის სწორად ჩატარება;</li> <li>ხელოვნური გარემოს კონკრეტული ფაქტორის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გავლენის რისკის პროგნოზირება და პრიორიტეტული ღონისძიებების განსაზღვრა.</li> </ul>
5.3	<p><b>სტუდენტმა იცის და გააზრებული აქვს:</b> <i>ჯანმრთელობაზე მოქმედი რადიაციული ფაქტორები</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მაიონებელი გამოსხივების ბიოლოგიური მოქმედების ძირითადი</li> </ul>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>დოზიმეტრიული და რადიომეტრიული კონტროლის ჩატარება;</li> <li>ადეკვატური პრევენციული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თეორიული სწავლება;</li> <li>პრაქტიკული დავალებები (პრობლემური და მოდელირებული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>გარემოს ობიექტების (ჰაერის, წყლის, საკვების, ნიადაგის, საშენი მასალების) ნიმუშების და სამუშაო ადგილების დოზიმეტრიულ-რადიომეტრიული შეფასება;</li> </ul>

	<p>კანონზომიერებები; დოზიმეტრიისა და რადიომეტრიის ძირითადი პრინციპები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მაიონებელი გამოსხივების წყაროებით და რადიაქტიული ნივთიერებებით დაბინძურებული გარემოს სამედიცინო მნიშვნელობა, ჰიგიენური რეგლამენტაცია;</li> <li>• რადიაციული უსაფრთხოების სამედიცინო-ჰიგიენური ასპექტები.</li> </ul>	<p>დონისძიებების განხორციელება მოსახლეობის, პაციენტისა და პერსონალის რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გამოსხივების წყაროებზე რადიო-ეკოლოგიური კონტროლის განხორციელება.</li> </ul>	<p>სიტუაციური ამოცანები, დისკუსია)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ლაბორატორიული მეცადინეობები და მიზნობრივი სასწავლო ექსკურსიები პროფილურ დაწესებულებებში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოდელირებული სიტუაციური ანალიზის სწორად ჩატარება;</li> <li>• რადიაციული ფაქტორის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გავლენის რისკის პროგნოზირება და პრიორიტეტული პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა.</li> </ul>
--	---	---	---	---

5.4	<p><b>სტუდენტმა იცის და გააზრებული აქვს:</b> <i>პროფესია და ჯანმრთელობა</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დასაქმებული ადამიანის ჯანმრთელობის ეფექტების გამომწვევი საწარმოო ფაქტორების მოქმედების, რისკის ფაქტორების შეფასების და მართვის პრინციპები;</li> <li>• პროფესიული და პროფესიით განპირობებული პათოლოგიის ძირითადი ნოზოლოგიური ფორმები და საქართველოსთვის სამხარეო პროფესიული პათოლოგიის საკითხები;</li> <li>• პროფესიული ფაქტორებისა და ჯანმრთელობის ეფექტების გამოვლენისას მოქმედი სოციალური ფაქტორების გამოვლენა და შეფასება;</li> <li>• მომუშავეთა საერთო და პროფესიული ავადობის, საწარმოო ტრავმატიზმის, პერიოდული სამედიცინო შემოწმების მონაცემების დამუშავებისა და შეფასების პრინციპები;</li> <li>• შრომის ჰიგიენა მეურნეობის სხვადასხვა დარგში;</li> </ul>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შრომის პროცესთან და საწარმოო გარემოსთან დაკავშირებული პროფესიული ფაქტორების შესწავლა და ჰიგიენური შეფასება;</li> <li>• მომუშავეთა საერთო და პროფესიული ავადობის, საწარმოო ტრავმატიზმის, პერიოდული სამედიცინო შემოწმების მონაცემების დამუშავებისა და ჰიგიენური შეფასება;</li> <li>• მეურნეობის წამყვან დარგებში მომუშავეთა შრომის პირობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და ჰიგიენური შეფასება;</li> <li>• შრომისუნარიანი მოსახლეობის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები (პრობლემური და მოდელირებული სიტუაციური ამოცანები, დისკუსია);</li> <li>• ლაბორატორიული მეცადინეობები და მიზნობრივი სასწავლო ექსკურსიები პროფილურ დაწესებულებებში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონკრეტული საწარმოო-პროფესიული ფაქტორების კვლევა და ჰიგიენური შეფასება;</li> <li>• მომუშავეთა ჯანმრთელობაზე საწარმოო გარემოს კონკრეტული ფაქტორის გავლენის რისკის შეფასება და პრიორიტეტული პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა;</li> <li>• მოდელირებული სიტუაციური ანალიზი.</li> </ul>
-----	---	--	--	---

<ul style="list-style-type: none"> <li>• მეურნეობის წამყვან დარგებში მომუშავეთა შრომის პირობების და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევისა და ჰიგიენური შეფასების საფუძვლები;</li> <li>• საწარმოო ფაქტორებისა და ჯანმრთელობის ეფექტების დადგენის საკანონმდებლო-ნორმატიული საფუძვლები;</li> <li>• ჯანმრთელობის ეფექტების გამოვლენისას პროფესიული დასაქმებისა და რაციონალური შრომითი მოწყობის საკითხები;</li> <li>• პროფესიული ფაქტორების პროფილაქტიკის საფუძვლები.</li> </ul>	<p>პროფესიული ვარგისიანობის დადგენა. წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ორგანიზება;</p> <p>პროფესიული დაავადებებით ავადმყოფთა სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიული პათოლოგიის ადრეული დიაგნოსტიკისა და პრევენციული ღონისძიებებისა და რეაბილიტაციის მონიტორინგი;</li> <li>• პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საერთო ავადობისა და პროფესიულ დაავადებათა პროფილაქტიკის ღონისძიებების შემუშავების ორგანიზებასა და განხორციელებაზე კონტროლი;</li> <li>• ქრონიკული და პროფესიული დაავადებების მონიტორინგი, პრევენცია და კონტროლი;</li> <li>• საწარმოო გარემოს მავნე ფაქტორებისა და</li> </ul>		
--	---	--	--

		<p>სპეციფიკური რისკის ფაქტორების იდენტიფიცირება, რისკის მართვის პრევენციული ღონისძიებების დასახვა, განხორციელება და ზედამხედველობა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსახლეობის ჯანმრთელობაზე საწარმოო ფაქტორების გავლენის კვლევა-შესწავლა და შეფასება;</li> <li>• პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების ორგანიზება.</li> </ul>		
5.5	<p><b>სტუდენტმა იცის და გააზრებული აქვს: კვება და ჯანმრთელობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კვების მეცნიერებების ასპექტები და კვების უსაფრთხოება. კვების უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მონიტორინგის საორგანიზაციო-სამართლებრივი საფუძვლები; კვების უსაფრთხოების სპეციალისტის უფლება-მოვალეობები, პროფესიულ-დეონტოლოგიური პრინციპები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;</li> <li>• ახალი სახეობის საკვები პროდუქტების, კვების ახალი წყაროების, საკვები დანამატების, პესტიციდების, საკვებ პროდუქტებთან შეხებაში მყოფი მასალების ექსპერტიზის ჩატარებისა და სახელმწიფო რეგისტრაციის განხორციელების წესები;</li> <li>• კვებითი მოშხამვების კლასიფიკაცია და პროფილაქტიკა.</li> </ul>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი და პროფესიული ჯგუფის რაციონალური კვების საკითხების ორგანიზაცია და კონტროლი;</li> <li>• მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მოსახლეობის ფაქტობრივი კვების შესწავლის მეთოდების პრაქტიკული გამოყენება;</li> <li>• მოსახლეობის ჰიგიენური განათლების დონის ამაღლებისათვის მუშაობის ჩატარება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები (პრობლემური და მოდელირებული სიტუაციური ამოცანები, დისკუსია).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სოციალური პროექტები;</li> <li>• სხვადასხვა ასაკობრივ და სოციალურ ჯგუფში ფაქტობრივი კვების შესწავლის შედეგების წარმოდგენა;</li> <li>• მოსახლეობის ჯანმრთელობითი განათლება კვების უსაფრთხოების სფეროში.</li> </ul>
5.6	<p><b>სტუდენტმა იცის და გააზრებული აქვს: მოზარდი თაობა და ჯანმრთელობა</b></p>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სოციალური პროექტები;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზმის განვითარების ასაკობრივი პერიოდიზაცია, მისი ჰიგიენური მნიშვნელობა, ბავშვთა და მოზარდთა ღრმა სამედიცინო გასინჯვების მნიშვნელობა, ჯანმრთელობის ჯგუფები და მაჩვენებლები; ავადობა, ავადობის ასაკობრივი სტრუქტურა;</li> <li>• ბავშვთა კვების თავისებურებების გათვალისწინებით სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში კვების ორგანიზაცია;</li> <li>• სახვადასხვა ტიპის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში სასწავლო პროცესის და გარემოს გავლენა ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე; ბ/მ ორგანიზებული ჯგუფების გამაჯანსაღებელი ღონისძიებების სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური მნიშვნელობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარების შესწავლა და შეფასება;</li> <li>• სხვადასხვა ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების მოსწავლეთა სასწავლო პროცესისა და გარემოს შესწავლა და შეფასება; ბავშვთა მოხმარების საგნების ჰიგიენური შეფასება; ეპიდ. საწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზაცია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პრაქტიკული დავალებები (პრობლემური და მოდელირებული სიტუაციური ამოცანები, დისკუსია).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბავშვთა და მოზარდთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი;</li> <li>• ბავშვთა და მოზარდთა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში ჯანმრთელობითი განათლება ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ.</li> </ul>
5.7	<p><b>სტუდენტმა იცის და გააზრებული აქვს:</b> გარემოს მედიცინის რეგულირების პრინციპები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოს მედიცინის სფეროში ევროპული და ეროვნული საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები; რეგულირების ძირითადი პრინციპები;</li> <li>• გარემოს რისკის შეფასების ძირითადი პრინციპები;</li> <li>• გარემოს მდგომარეობასთან დაკავშირებული მოსახლეობის ჯანმრთელობა, შესწავლის გზები და პრინციპები;</li> <li>• მოსახლეობის ჯანმრთელობა, როგორც გარემოს მდგომარეობის შეფასების ინტეგრალური კრიტერიუმი; პროფილაქტიკის საფუძვლები;</li> </ul>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქვეყნის კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისად პროფესიული საქმიანობის წარმოება გარემოს მედიცინის სფეროში;</li> <li>• გარემოს მავნე ფაქტორებისა და სპეციფიკური რისკის ფაქტორების იდენტიფიცირება, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გავლენის შესწავლა,</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები (პრობლემური და მოდელირებული სიტუაციური ამოცანები, დისკუსია);</li> <li>• ლაბორატორიულ-პრაქტიკული მეცადინეობები და მიზნობრივი სასწავლო აქტივობები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი გარემოს ფაქტორების ხარისხის ჰიგიენური შეფასება;</li> <li>• მოდელირებული სიტუაციური ანალიზის სწორად ჩატარება;</li> <li>• გარემოს ფაქტორების მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გავლენის რისკის პროგნოზირება და პრიორიტეტული პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა.</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• ლაბორატორიული საქმიანობის ორგანიზაციის ჰიგიენური საფუძვლები;</li> <li>• ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების რეკომენდაციების შემუშავების უნარი;</li> <li>• ავადობის ანალიზი, გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება, განხორციელების და ეფექტურობის შეფასება;</li> <li>• მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეკრება და რეტროსპექტული ანალიზის ჩატარება;</li> <li>• გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობის სოციალურ-ჰიგიენური მონიტორინგის საფუძვლები.</li> </ul>	<p>ჰიგიენურ-ეკოლოგიური ექსპერტიზა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და ზედამხედველობა მათ განხორციელებაზე;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევის ჩატარება და შედეგების ანალიზი; ჰიგიენური დასკვნის მომზადება;</li> <li>• შესწავლილი ობიექტის სანიტარიული გამოკვლევის აქტის, ტერიტორიის სანიტარიული აღწერილობის, სანიტარიული დარღვევის ოქმის შედგენა;</li> <li>• ავადობის ანალიზის ჩატარება, გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება; განხორციელების და მათი ეფექტურობის შეფასება;</li> <li>• ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების რეკომენდაციების შემუშავება;</li> <li>• მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეკრება და</li> </ul>		
---	---	--	--



		<p>რეტროსპექტული ანალიზის ჩატარება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მოსახლეობის სამედიცინო დახმარების დაგეგმვა, ორგანიზება და მართვა;</li> <li>• მოსახლეობაში სამედიცინო-პროფილაქტიკური და საგანმანათლებლო მუშაობის განხორციელება, სანიტარიულ-პროფილაქტიკური განათლებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.</li> </ul>		
--	--	--	--	--

**6. კომპეტენციის სფერო - ჯანმრთელობის პოლიტიკა; ეკონომიკა; ორგანიზაციული თეორია, ლიდერობა და მართვა**

<p><b>სტუდენტმა იცის და გააზრებული აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჯანდაცვის პოლიტიკის, ჯანდაცვის ეკონომიკის, დაფინანსების, მარკეტინგის, ჯანდაცვის კანონმდებლობის, ორგანიზაციული თეორიის, ლიდერობის და მართვის ზოგადი ასპექტები;</li> <li>• საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფარგლებში გამოყენებული მნიშვნელოვანი კონცეფციები, მათ შორის: სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, ბაზრები და საბაზრო ნაკლოვანებები, სამედიცინო მომსახურების შენატანები, პროცესი და გამოსავალი; ეფექტურობა; ელასტიურობა; ჯანმრთელობაზე გაწეული ხარჯების ანალიზი: სამედიცინო მომსახურების ღირებულება, ეკონომიკური შეფასების მეთოდები, ხარისხის უზრუნველყოფა; სამართლიანობა; ხელმისაწვდომობა;</li> </ul>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის / სტრატეგიის / შემუშავების და განხორციელების ძირითადი პრინციპების განსაზღვრა;</li> <li>• ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურების ორგანიზაციული, მენეჯერული და ფინანსური დაგეგმვის პრინციპების განსაზღვრა;</li> <li>• პროცედურის, ინტერვენციის, სტრატეგიის ან</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები, (დისკუსია, საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ღონისძიებების ანალიზი, ინტერპრეტაცია).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჯანდაცვის პოლიტიკის, ჯანდაცვის ეკონომიკის, ორგანიზაციული თეორიის, ლიდერობისა და მართვის სფეროში მონაცემთა ანალიზის შედეგებზე ანგარიშის მომზადება;</li> <li>• მიზნობრივი ლიტერატურის ძიების სწორად წარმართვა და ძიების შედეგების ანალიზზე დაფუძნებით სწორი დასკვნების გაკეთება;</li> <li>• საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადეკვატური ღონისძიებების დასახვა.</li> </ul>
--	---	--	--

<p>ოპერაციული მართვა და მოქმედებების კოორდინაცია (ლოგისტიკა); ლიდერობა; ცვლილებების მართვა; ორგანიზაციული მმართველობა; SWOT ანალიზი (ძლიერი მხარეები-სისუსტეები-შესაძლებლობები-საფრთხეები);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციის ზოგადი პრინციპები;</li> <li>• სამედიცინო მომსახურების სტრუქტურა და ორგანიზაცია; რეგულირება; მენეჯმენტი; ადამიანური რესურსები; გადაწყვეტილების მიღების პროცესები; წარმოება / შედეგები;</li> <li>• საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის და პროგრამების შეფასების ზოგადი პრინციპები;</li> <li>• ეროვნული, ევროპული და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განვითარებაში (ჯანმო, ევროკავშირი; გაერო; მსოფლიო ბანკი; საერთაშორისო სავალუტო ფონდი);</li> <li>• ეროვნული, ევროკავშირის, ევროპული, საერთაშორისო და გლობალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრატეგიები (ჯანმოს-ს სტრატეგიები, ჯანმრთელობა ყველასათვის 2000).</li> </ul>	<p>პოლიტიკის ეკონომიკური შეფასების პრინციპების განსაზღვრა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამის, დაწესებულების ან პროცედურის SWOT ანალიზი.</li> </ul>		
---	---	--	--

**7. კომპეტენციის სფერო - ეთიკა**

<p><b>სტუდენტმა იცის და გააზრებული აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის რელევანტური ეთიკის ძირითადი თეორიები და კონცეფციები;</li> <li>• ადამიანის უფლებათა კონცეფცია და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კანონმდებლობა;</li> </ul>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საზოგადოებრივი ჯანდაცვითი კონკრეტული ინტერვენციის ეთიკური ასპექტების იდენტიფიცირება;</li> <li>• საბაზო ეთიკური პრინციპების გამოყენების</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები (დისკუსია, შემთხვევების გარჩევა).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეთიკის ძირითადი თეორიების და კონცეფციების განმარტება, დახასიათება;</li> <li>• საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის რელევანტური კანონების და რეგულაციების აღწერა;</li> <li>• საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევების მიმართ არსებული</li> </ul>
---	--	---	--

<ul style="list-style-type: none"> <li>• ეთიკის, როგორც მეცნიერების, განვითარების ისტორიის მნიშვნელოვანი ასპექტები;</li> <li>• საზოგადოებრივი ჯანდაცვის „კარგი“ პრაქტიკა და „კარგი“ კლინიკური პრაქტიკა; მონაცემთა მოპოვების, დამუშავების, შენახვის, გამოყენების, გავრცელების კონფიდენციალობის, უსაფრთხოების, პრივატულობისა და გამჟღავნების ეთიკური ასპექტები;</li> <li>• პროფესიონალიზმის ეთიკური განზომილება, პროფესიონალიზმი პასუხისმგებლობებისა და ინსტიტუციის წინაშე ანგარიშვალდებულებების კონტექსტში;</li> <li>• ეთიკის კომიტეტების სისტემა;</li> <li>• ეთიკური მოთხოვნები კვლევების მიმართ.</li> </ul>	<p>უნარი და მისი დემონსტრირება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრატეგიებში (მათ შორის სამიზნე პოპულაციის მიმართ არადისკრიმინაციული მიდგომების გამოყენება);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიული საქმიანობის დროს მოპოვებული მონაცემების კონფიდენციალობისა და დაცვის ეთიკური პრინციპების პატივისცემა და გამოყენება.</li> </ul>		<p>ეთიკური მოთხოვნების დახასიათება;</p>
--	--	--	---

3.1 მოთხოვნები ადამიანური რესურსისადმი	
დარგის ასპექტის №	სპეციალური მოთხოვნები
საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგის მიმართულებები	შესაბამისი კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში ან მედიცინაში მაგისტრის ან დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო/აკადემიური ხარისხით, სახელმწიფო სერტიფიკატით, პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით დარგში. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3.2. მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი
სპეციალური მოთხოვნები არ არსებობს

**NB:** მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან, ადვოკატობასთან, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდასთან, ცხოვრების წესის სტანდარტებისა და ხარისხის ამაღლებასთან, საზოგადოების კეთილდღეობასთან ერთად ხელი შეეწყობა ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობების, შესაბამისად, მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდას, ქვეყნის პროგრესს

**4. დამატებითი ინფორმაცია**

გამჭოლი კომპეტენციები			
კომპეტენციის სფერო - საზოგადოებრივ ჯანდაცვაში ლიტერატურის ძიებისა და ანალიზის პრინციპების გამოყენება			
<p><b>სტუდენტმა იცის და გააზრებული აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვანი ლიტერატურული მონაცემთა ბაზების არსებობა, ჯანდაცვის, სოციალურ და გარემოსდაცვით მეცნიერებებში;</li> <li>• ლიტერატურულ ბაზებში საჭირო ლიტერატურის მოძიების ტექნიკა;</li> <li>• კოპრეის ბიბლიოთეკა და პუბლიკაციის ციტირების ინდექსის ძიება.</li> </ul>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვან მონაცემთა ბაზებში ლიტერატურის ძიების პროფილის შექმნა და ლიტერატურული ძიების ჩატარება;</li> <li>• ძიების შედეგების სისტემატიზაცია ძიების შედეგების წარდგენა ცხრილის სახით;</li> <li>• ხარისხობრივი კრიტერიუმების მიხედვით ემპირიული კვლევების სისტემატიზირება/დახარისხება;</li> <li>• მოძიებული ლიტერატურის ანალიზი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები ლიტერატურის ძიებასა და ანალიზის მომზადებაში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიზნობრივი ლიტერატურის ძიების სწორად წარმართვა, ძიების შედეგების ანალიზი და ანალიზზე დაფუძნებით სწორი დასკვნების გაკეთება და შესაბამისი ანგარიშის მომზადება.</li> </ul>
კომპეტენციის სფერო - პროექტების მართვის თანამედროვე მეთოდების ცოდნა და გამოყენება საზოგადოებრივ ჯანდაცვაში			
<p><b>სტუდენტმა იცის და გააზრებული აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის მართვის ძირითადი პრინციპები;</li> <li>• პროექტის ინიცირება;</li> <li>• პროექტის დაგეგმვა;</li> <li>• პროექტის იმპლემენტაცია;</li> <li>• პროექტის დახურვა.</li> </ul>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის წარმატებით განხორციელების ხელშემშლელი და ხელშემწყობი პირობების შეფასება;</li> <li>• პროექტის განმავლობაში ცვლილებების სწორად მართვა;</li> <li>• სტეიკჰოლდერების როლის სწორად შეფასება და სწორი კომუნიკაციის სტრატეგიის დაგეგმვა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებების განხილვა.</li> </ul>	<p>საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ღონისძიებებისა და ეპიდემიოლოგიური კვლევების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის, პროექტის მართვის პრინციპების გამოყენებით, შესაბამისი დოკუმენტების ან დოკუმენტის ნაწილების მომზადება.</p>

	<ul style="list-style-type: none"><li>პროექტების მართვის პრინციპების საჭიროებისა და მნიშვნელობის შეფასება.</li></ul>		
--	--	--	--

### III. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ორგანიზაციის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	ნინო ჩიხლაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის პროფესორი, ეკონომიკის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი
2.	ეკატერინე რუაძე	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	გლობალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარე აივ ინფექცია/შიდსის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი
3.	ნატა ყაზახაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი
4.	ირინე ზარნაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი
5.	თენგიზ ვერულავა	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, მედიცინის დოქტორი
6.	ნათია ნოღაიძე	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი
7.	ოთარ გერზმავა	რობაქიმის სახელობის უნივერსიტეტი	მედიცინის სკოლის პროფესორი, მედიცინის დოქტორი
8.	ირაკლი მჭედლიშვილი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, მედიცინის დოქტორი
9.	რევაზ კვერენჩილაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	გარემოს ჯანმრთელობის და პროფესიული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, მედიცინის დოქტორი
10.	ვასილ ტყეშელაშვილი	საქართველოს უნივერსიტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი, მედიცინის დოქტორი
11.	ელზა ნიკოლეიშვილი	საქართველოს უნივერსიტეტი	ფარმაციის დეპარტამენტისა და პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი, მედიცინის დოქტორი